ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6351425

ნომერი: AR1948583

თარიღი : 08.02.2023

გაცემის თარიღი : 02.03.2023

გაცნობის თარიღი : 02.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა, N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნონიკაშვილი პ/ნ 01017014129
- შინდისის ქ 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 08 თებერვლის №AR1948583 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 25 ივნისის №5473631 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 14 თებერვლის №6326047 ბრძანებით, 2023

წლის 20 თებერვლის №6334786 და 2023 წლის 27 თებერვლის №6344104 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული.
ამჯერად, კომერციულ ფართებში დატანილ იქნა ისევ ძველი ფართობები (ისევ შეყვანილია შახტების ფართობები). ასევე, საცხოვრებელ ფართობში ნაწილობრივ კვლავ შეყვანილია შახტების და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობების (კარების) ფართები (მაგალითად, მე-11 და მე-14 ბინებში). აღნიშნული ფართები დათვლილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, შახტების და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობების ფართობის გარეშე.
სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ, კომერციულ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2021 წლის 25 ივნისის №5473631 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) შესწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან სამსახურის 2023 წლის 27 თებერვლის №6344104 გადაწყვეტილებას გაეცანით 2023 წლის 27 თებერვალს, ხოლო, განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 28 თებერვალს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 24 (ოცდაოთხი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 23 (ოცდასამი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 23 (ოცდასამი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2023 წლის 08 თებერვლის №AR1948583 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.